საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მიმდინარე წლის 14 ივნისს, ონლაინ ფორმატით, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით, გაიმართა ეროვნული პლატფორმის რიგით მე-11 საერთო კრება. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრებაზე დარეგისტრირდა და მასში მონაწილეობა მიიღო პლატფორმის წევრი ორგანიზაციების 95-მა წარმომადგენელმა.

გახსნით სესიაზე, კრებას მიმართეს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კერძოდ საერთო კრებაზე მონაწილეობდა, დავით ბუჯიაშვილი - ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი და ნიკოლოზ სამხარაძე - პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. მათ საერთო კრების გახსნით ნაწილში, მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს და ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმებსა და საქართველოს მიერ ევროკავირში გაწევრიანების განაცხადის გასაკეთებლად განსახორციელებელ ვალდებულებებზე ისაუბრეს.

ყოველწლიურ საერთო კრებაზე, ეროვნული პლატფორმის მოქმედმა თავმჯდომარემ, ლაშა ტუღუშმა, წევრ ორგანიზაციებს, პლატფორმის გასული წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია წარუდგინა. თავის მხრივ, საქმიანობის ანგარიშზები წარადგინეს ეროვნულმა კოორდინატორმა - ნათია კურპაშვილმა და ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის თავმჯდომარე - კახა გოგოლაშვილმა. შეხვედრაზე საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, ნინო ჩხობაძემ და დავით ცისკარიძემ, მოკლედ მიმოიხილეს ჯგუფების მიერ განხორციელებული აქტივობები.

მნიშვნელოვანი იყო ის საქმიანობა, რომელიც განხორციელდა „ჯგუფების საქმიანობის მხარდაჭერი“ ფარგლებში, რომლის დროსაც დაფინანსდა 7 კოალიციური პროექტი და პროცესში ჩართული იყო პლატფორმის წევრი 47 ორგანიზაცია. ყველა პროექტის ძირითადმა აპლიკანტმა, საერთო კრებაზე, წარმოადგინა დაფინანსებული პროექტების ანგარიშების პრეზენტაცია.

რიგით მე-11 საერთო კრების პროცესის პარალელურად მიმდინარეობდა საკოორდინაციო საბჭოს არჩევნები. ელექტრონული ხმის მიცემის სისტემაში დარეგისტრირდა 88 ორგანიზაციის ხმის უფლების მქონე წარმომადგენელი. კენჭისყრის პროცედურა მიმდინარეობდა 4 საათის განმავლობაში. საერთო ჯამში, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 68 ორგანიზაციამ.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ წარდგენილი იყო ნინო ჩხობაძის კანდიდატურა. სამუშაო ჯგუფებში კი დასახელებული იყო კოორდინატორობის სხვადასხვა კანდიდატები, რომლებსაც დაემატა უშუალოდ კრებაზე დასახელებული კანდიდატები.

საარჩევნო პროცედურების დასრულების შემდეგ, საერთო კრების შემაჯამებელ სესიაზე, დამსწრეებს წარედგინათ არჩევნების შედეგები.

კენჭისყრის შედეგები ასეთია:

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები

პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები:
ლაშა ტუღუში – ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი.
ნიკა სიმონიშვილი – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები:
დავით ცისკარიძე – საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი.
კონსტანტინე ჟღენტი – საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია.

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები:
ქეთევან ცხაკაია – იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი"
ნუგზარ კოხრეიძე – სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი".

მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები:
ნინო ხუხუა – ადგილობირივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
ცირა მესხიშვილი – სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი".

მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორები:
ირინა ფუტკარაძე – საზოგადოებრივი დამცველი
ლაშა ბლიაძე – საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება.

საკოორდინაციო საბჭოს არჩევნების შედეგები დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე. https://vote.electionrunner.com/election/A59Fd/results